საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლივადი

ლივადი, სოფელი ქვემო ქართლის რეგიონის წალკის მუნიციპალიტეტში (ბარეთის თემი), თრიალეთის ქედის სამხრ. კალთაზე. ზ. დ. 1690 მ. წალკიდან 16 კმ. 80 მცხ. (2014).

ლივანა, ლიგანი, ნიგალი, ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი ფეოდალური ხანის სამხრ. საქართველოში, მდ. ჭოროხის ქვემო წელში. წყაროებში პირველად იხსენიება XI ს-ში (ნიგალი). ვახუშტი ბაგრატიონის (XVIII ს.) მიხედვით, მოიცავდა მდ. ჭოროხის ხეობის იმიერ და ამიერ მხარეს ართვინის სანახებითურთ; შემდგომში ლ-დ მიაჩნდათ მდ-ების – აჭარისწყლისა და ჭოროხის შესაყართან მდებარე ტერიტორია. 1549 ლ. ოსმალებმა დაიკავეს. რუსეთ-ოსმ. (1877–78) ომის შემდეგ ისტ. სამხრ.-დას. საქართველო სხვა ტერიტორიებთან ერთად რუს. იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. ამჟამად ლ-ის მხოლოდ მცირე ნაწილია საქართველოს ფარგლებში, დანარჩენი კვლავ თურქეთის საზღვრებშია.

ლიტ.: ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა (აჭარის ასსრ), წგ. 1, ბათ., 1958.

ი. სიხარულიძე